პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 1946 წ. № 158 (7681) ფასი 20 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი

რამდენიმე დღეა მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესია.

სესიამ მოისმინა მოხსენება ჩვენი რესპუბლიკის ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა, რომლებმაც აღნიშნეს მეოთხე სტალინური ხუთწლედის უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური, სამეურნეო, კულტურული მნიშვნელობა და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მისი წარმატებით შესრულებისათვის.

გუშინ სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონი.

მეათე სესიამ გუშინ აგრეთვე მოისმინა მოხსენება საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ბიუჯეტი, როგორც სარკე, ნათლად გამოხატავს მთელ ჩვენს მუშაობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები მოწმობენ უდიდეს მიღწევებს, რაც რესპუბლიკამ გასულ წელს მოიპოვა, ამასთან გვიჩვენებენ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებსაც.

შარშანდელი ბიუჯეტის შემოსავალმა 19.302 ათასი მანეთით გადააჭარბა გასავალს. როგორც ვხედავთ, ბიუჯეტი წარმატებით შესრულდა, მაგრამ გასულ წელს ზოგიერთი სამრეწველო დარგის მუშაობის ჩამორჩენა დაეტყო ბიუჯეტის ცალკეულ მაჩვენებლებს. მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გასული წლის გეგმა 67,4 პროცენტით შეასრულეს. ასევე ჩამორჩნენ ადგილობრივი, სატყეო, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოები. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1.610,0 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრეს გასული წელი. ზარალი ჰქონდა ხორცის მრეწველობის ტრესტსაც.

მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და შინარესურსების მაქსიმალური მობილიზაციის, შრომის სწორი ორგანიზაციის, ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების შედეგად გასულ წელს თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. საკმარისია ითქვას, რომ კვების მრეწველობის სამინისტრომ პროდუქციის გამოშვების 1945 წლის გეგმა 120,1 პროცენტით შეასრულა და 12.221 ათასი მანეთით მეტი მოგება მიიღო, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. 1.300 ათასი მანეთის დაგროვება მიიღეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს მოსახლეობისაგან ფულადი სახსრების აკრეფა. ამ მხრივ გასულ წელს წარმატებები ჰქონდათ მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს, რამაც ხელი შეუწყო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებას. მაგრამ ის ფაქტი, რომ მოსახლეობისაგან ფულადი სახსრების აკრეფაში ჩამორჩნენ თიანეთის, წალკის, გეგეჭკორის, თბილისისა და ყაზბეგის რაიონები, რამაც ბიუჯეტზე უდავოდ გავლენა იქონია, ნათლად მეტყველებს მომავალში ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების საჭიროებას.

საბჭოთა საქართველოს 1946 წლის — მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს შემოსავალში 1.573.825 ათას მანეთს და გასავალში 1.560.919 ათას მანეთს. პროექტში აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ წელს გაწეული იქნება 165.910 ათასი მანეთით მეტი ხარჯები, ვიდრე შარშან.

როგორც ცნობილია, ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველს წარმოადგენს სოციალისტური დაგროვება. ბუნებრივია, რომ სოციალისტური დაგროვება უახლოეს წლებში უნდა გაიზარდოს იმ მოცულობით, რაც სავსებით უზრუნველჰყოფს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის ბოლშევიკურად შესრულებას. ეს კი შესაძლებელი იქნება სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღებით, საწარმოთა რენტაბელობის განმტკიცებით, მათი ეკონომიური საქმიანობის გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და თვითღირებულების შემცირებით. სტახანოვური მოძრაობის შემდგომი განვითარება, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, საწარმოების მექანიზაცია ბუნებრივია, ხელს შეუწყობს სოციალისტური დაგროვების გადიდებას.

გასულ წელს მთელმა რიგმა საწარმოებმა სოციალისტური დაგროვების შესანიშნავი ნიმუშები მოგვცეს. ტრესტმა „საქართველოს თამბაქომ" მიიღო 39 მილიონი მანეთის დაგროვება, მაგრამ არიან საწარმოები, რომლებმაც დაგროვების ნაცვლად გასული წელი ზარალით დაამთავრეს.

სახელმწიფო ბიუჯეტში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფო სესხებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მშრომელებმა სამამულო ომის წლებში უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით მისცეს მთავრობას სესხად 1.598.477 ათასი მანეთი, ნათელი გახდება სახელმწიფო სესხების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და ეკონომიური ზრდის საქმეში. მარტო წელს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხი საქართველოში 542.216 ათასი მანეთის რაოდენობით გავრცელდა.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებისათვის ზრუნვა თვითეული საწარმოს, დაწესებულების, თვითეული საბჭოთა მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა; თუ საშემოსავლო ნაწილი გადაჭარბებით შესრულდება, მაშინ ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებანიც შეუფერხებლივ დაფინანსდება.

როგორია ჩვენი ბიუჯეტის ზრდა მიმდინარე წელს?

ამას ნათლად მეტყველებს ის გარემოება, რომ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შარშანდელი 56,2 მილიონი მანეთის ნაცვლად წელს შეადგენს 102,4 მილიონ მანეთს. თუ შარშან სოფლის მეურნეობის ღონისძიებათა დასაფინანსებლად გაღებული იყო 34,3 მილიონი მანეთი, მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტი ითვალისწინებს 64,8 მილიონ მანეთს. 1946 წლის ბიუჯეტით ასევე დიდი თანხებია გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. საკმარისია ითქვას, რომ ეს თანხა შეადგენს რესპუბლიკის მთელი ბიუჯეტის 70,2 პროცენტს.

სახელმწიფო ბიუჯეტი აგრეთვე დიდ თანხებს ითვალისწინებს სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისათვის. ეს ხარჯები წელს გადიდებულია 49,3 პროცენტით. მნიშვნელოვნად არის აგრეთვე გაზრდილი ხელოვნების ღონისძიებათა დაფინანსება.

საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ექვემდებარება იმ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებას, რაც დასახულია მეოთხე სტალინური ხუთწლედით.

ქართველი ხალხი, რომელიც აღფრთოვანებულია მეოთხე ხუთწლიანი გეგმის სიდიადით, ბოლშევიკურად შეასრულებს რესპუბლიკის მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და უზრუნველჰყოფს მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში იმ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას, რაც მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახა კაცობრიობის უდიდესმა ადამიანმა, ხალხთა ბრძენმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1946 წლის 7 აგვისტოს სხდომის შესახებ

7 აგვისტოს, დილის 11 საათზე, შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. დ. კოჭლამაზაშვილი.

დღის წესრიგშია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების განხილვა.

კამათში გამოვიდნენ—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. ა. ტ. ხელიძე, დეპუტატი ვ. ბ. გოგუა (კასპის საარჩევნო ოლქი, კასპის რაიონი), მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ე. ლომიძე, დეპუტატი ლ. ა. რუხაძე (წულუკიძის პირველი საარჩევნო ოლქი, წულუკიძის რაიონი), დეპუტატი შ. ქ. ღამბაშიძე (ქუთაისის წულუკიძის საარჩევნო ოლქი, ქუთაისის რაიონი).

ამით შესწყდა კამათი დღის წესრიგის პირველ საკითხზე და უმაღლესმა საბჭომ მოისმინა მომხსენებლის—საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ე. ალავიძის საბოლოო სიტყვა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ თავების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანად ერთხმად დაამტკიცა კანონი საქართველოს 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კანონის დამტკიცების შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებანი კაპიტალური მშენებლობისათვის დამატებით ასიგნობათა შესახებ, რაც მათ შემოიტანეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე, განსახილველად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს".

შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გადავიდა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვაზე—საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და საქართველოს სსრ 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა კ. ს. ციმაკურიძემ.

შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ გ. ე. ნარსიას თანამოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე—საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

ამით დაიხურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა. (საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 7 აგვისტოს დადგენილება

კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის მარცვლეულის, ფქვილის, გამომცხვარი პურისა და მზესუმზირას გაყიდვისა და გაცვლის აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 31 ივლისის № 1703 დადგენილების შესაბამისად:

1. აეკრძალოს კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს მარცვლეულის, ფქვილისა და გამომცხვარი პურის გაყიდვა და გაცვლა მათ მიერ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების შესრულებამდე, ხოლო მზესუმზირას გაყიდვა და გაცვლა — სახელმწიფოსათვის მზესუმზირას ჩაბარების გეგმის შესრულებამდე.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ პურისა და მზესუმზირას გაყიდვა და გაცვლა შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით, მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და მზესუმზირას ჩაბარების დაწესებული გეგმის ყველა სახის მიხედვით (სესხების დაბრუნება, სავალდებულო ჩაბარება, მტს-ის სამუშაოთა ნატურანაზღაურება) შესრულების შემდეგ.

2. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და თანამდებობის პირები ამ დადგენილების დარღვევისათვის მიცემულ იქნან სასამართლო პასუხისგებაში.

პურითა და მზესუმზირათი უკანონო ვაჭრობაში დამნაშავე კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი პირველად დაჯარიმებულ იქნან 300-მდე მანეთით, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში მიცემულ იქნან სასამართლო პასუხისგებაში.

უკანონოდ გასაყიდად გამოტანილი პროდუქტები ჩამოერთვას და გადაეცეს დამზადებათა სამინისტროს ორგანოებს.

3. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, მშრომელთა დეპუტატების ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეებს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ორგანოებს, აგრეთვე საქართველოს სსრ-ში დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს ორგანოებს სისტემატური მეთვალყურეობა დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი

ხ. როსტიაშვილი

იტალიის ახალგაზრდობის დელეგაცია თბილისიდან სტალინგრადს გაემგზავრა

იტალიის ახალგაზრდობის დელეგაციამ ინახულა ქალაქი გორი. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა. მათ აგრეთვე დაათვალიერეს მუზეუმი, სადაც გაეცნენ ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

შემდეგ დელეგაციამ ინახულა გორის რაიონის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. აქ იგი შეხვდა კოლმეურნე ახალგაზრდობას. დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციას და კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებას.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია შეხვდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ი. ზოდელავას, თბილისის ახალგაზრდათა ორგანიზაციების მუშაკებსა და პრესის წარმომადგენლებს.

საუბარში დელეგაციის წევრებმა დამსწრეთ გაუზიარეს შთაბეჭდილებანი საქართველოში ყოფნის შესახებ და უამბეს იტალიელი ახალგაზრდობის ცხოვრებასა და მუშაობაზე, მის ბრძოლაზე ფაშიზმის წინააღმდეგ, იტალიაში დემოკრატიის შემდგომი განმტკიცებისათვის.

6 აგვისტოს დელეგაცია თავისი ხელმძღვანელის ენრიკო ბერლინგუერის მეთაურობით თბილისიდან სტალინგრადს გაემგზავრა. აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ქალაქ თბილისის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

წითელწყაროს რაიონმა შეასრულა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა

კოლმეურნეობებმა 6 აგვისტოსათვის, დაწესებულ ვადაზე 20 დღით ადრე, მთლიანად დაამთავრეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება, ამასთან 1.400 ჰექტარით მეტი მოსავალი აიღეს შარშანდელთან შედარებით.

ხუთდღიური დავალებების მიხედვით 6 აგვისტოსათვის კოლმეურნეობებს პური სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ 3.060 ტონა, ფაქტიურად ჩააბარეს 6.250 ტონა.

რაიონმა იკისრა პურის დამზადების გეგმა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულოს და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს ათას ტონამდე მაღალხარისხოვანი ხორბალი.

კოლმეურნეობები შეუდგნენ საშემოდგომო თესვისათვის მზადებას. მიმდინარეობს ნაკვეთების გაწმენდა-გასუფთავება და სათესლე მასალის კონდიციამდე აყვანა.

მოსავლის აღებისაგან განთავისუფლებული მუშასაქონელი და ტრაქტორები გადაყვანილია საშემოდგომო ხვნაზე. საშემოდგომოდ უკვე მოხნულია 600 ჰექტარი.

ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაცია

7 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაცია ბ-ნ მორგან ფილიპსის, ჰაროლდ ლასკის, ჰაროლდ კლეისა და ალისა ბეიკონის შემადგენლობით.

მიღებას დაესწრო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი.

შვიდნახევარი მილიონი სახელმძღვანელო

ლენინგრადი, 6 აგვისტო. (საქდესი). სასწავლო წლის დაწყებისათვის „უჩპედგიზის" ლენინგრადის განყოფილება დაწყებითი და საშუალო სკოლისათვის გამოუშვებს შვიდნახევარ მილიონ სახელმძღვანელოს—ერთი ორად მეტს, ვიდრე შარშან. უკვე დაიბეჭდა და სავაჭრო ქსელს გაეგზავნა 6 მილიონამდე ცალი სახელმძღვანელო.

გამოცემულ სახელმძღვანელოთა შორის არის: ანბანი, არითმეტიკულ ამოცანათა კრებული 1, 2 და 4 კლასებისათვის, რუსული ენის სახელმძღვანელო 3 კლასისათვის და სხვ.

აგვისტოს განმავლობაში სკოლები მიიღებენ ალგებრულ ამოცანათა კრებულს, არაორგანული ქიმიის სახელმძღვანელოს და სხვ.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

პარიზი, 6 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). პროცედურის საკითხთა კომისიის გუშინდელ საღამოს სხდომაზე და დღევანდელ სხდომებზე გრძელდებოდა კამათი კვორუმის საკითხზე. დიდი ბრიტანეთის დელეგატი მაკნეილი იცავდა ბრიტანეთის შესწორებას, რომელიც, როგორც უკვე ვიუწყებოდით, შენიღბული ფორმით ითვალისწინებს კვორუმს უბრალო უმრავლესობით. მაკნეილი ცდილობდა უარეყო ანგლო-საქსური ბლოკის არსებობა. მას მხარი დაუჭირა ინდოეთის სახელით გამოსულმა „მაღალმა კომისარმა ლონდონში" სერ რუნგანადანმა, რომელსაც, როგორც ამბობენ, პერის წოდება მიენიჭა ინდოეთის საქმეებში ინგლისისათვის გაწეული განსაკუთრებული დამსახურების გამო. რუნგანადანმა ამოცანად დაისახა დაემტკიცებინა, რომ ინდოეთის დელეგაციას განზრახული აქვს დაიცვას კონფერენციაზე თავისი საკუთარი, ინგლისის პოზიციისაგან დამოუკიდებელი, პოზიცია. მან განაცხადა, რომ მხარს უჭერს ჰოლანდიის შესწორებას უბრალო უმრავლესობით კვორუმის შესახებ, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მისი უარყოფის შემთხვევაში ხმას მისცემს ინგლისის შესწორებას.

დღევანდელ დილის სხდომაზე უკრაინის დელეგატმა ვოინამ, რომელიც შეეხო იმ ხმებს, რაც კომისიაში გაისმოდა დიდ და მცირე სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა შესახებ, მოაგონა, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ომის დროს ამაზე არავინ ლაპარაკობდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამარჯვების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ომის მხოლოდ სიმბოლური გამოცხადებით ან მასში უმნიშვნელო მონაწილეობით. ამჟამად არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა, სამართლიანი, ხანგრძლივი და ყველასათვის მისაღები მშვიდობა, უბრალო უმრავლესობის, ვთქვათ, ერთი ხმის უმეტესობის გზით. გამარჯვების მისაღწევად საჭირო იყო ყველა ქვეყნის, როგორც დიდი, ისე მცირე ქვეყნების, ერთიანი, საერთო ღონისძიებანი. მშვიდობის მისაღწევად საჭიროა ყველა ქვეყნის, როგორც დიდი, ისე მცირე ქვეყნების, ერთიანი, საერთო ღონისძიებანი. ამიტომ, რაც უფრო მეტ ხმას მიიღებს ესა თუ ის რეკომენდაცია, მით უფრო სოლიდური გახდება ეს რეკომენდაცია.

რაც შეეხება ბრიტანეთის კომბინირებულ წინადადებას, იგი, უკრაინის დელეგაციის აზრით, მხოლოდ გაართულებს მუშაობას და ხელს შეუწყობს არა ერთიანობას, არამედ, პირიქით, კონფერენციაზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა გათიშვას. ბრიტანეთის წინადადება არსებითად იგივე ჰოლანდიის წინადადებაა, მაგრამ რამდენადმე შენიღბული ფორმით. ამიტომ საქმის ინტერესებისათვის იგი უნდა უარვყოთ, ისევე როგორც ჰოლანდიის წინადადება.

უკრაინის დელეგაცია ამჯობინებდა, რომ მეტი წილი რეკომენდაციები კონფერენციამ ერთხმად მიიღოს. ეს იდეალური იქნებოდა, მაგრამ თუ ამ იდეალის მიღწევა არ შეიძლება, მაშინ 2/3 უმრავლესობა მაინც უფრო უახლოვდება იდეალს, ვიდრე უბრალო უმრავლესობა. ამიტომ უკრაინის დელეგაცია ხმას მისცემს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებებს იმ დამატებით, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა წამოაყენა.

პოლონეთის დელეგატმა ვენევიჩმა თავის გამოსვლაში მოიყვანა საფუძვლიანი არგუმენტა-

გამოწვეულია კონფერენციის [illegible] მონაწილის მისწრაფებით — [illegible] ნება უკარნახონ არა მარტო დამარცხებულ ქვეყნებს, არამედ ცალკეულ [illegible] ქვეყნებსაც. მშვიდობის ინტერესებისათვის საჭიროა [illegible] ხმებით [illegible] ერთსულოვნობის მიღწევა [illegible] მხედველობით.

იუგოსლავიის დელეგაცია მხარს უჭერს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს რეკომენდაციას და მოლოტოვის მიერ წამოყენებულ შესწორებას. იუგოსლავიის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ შესაძლო იქნება ეს შესწორება მიეუახლოოთ საფრანგეთის დელეგაციის შესწორებას, რომელიც თითქმის ემთხვევა მას.

შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა დელეგაციის მეთაურს მოლოტოვს. მისი სიტყვა კომისიის სხდომაზე ყველა დამსწრემ უდიდესი ყურადღებით მოისმინა.

პარიზი, 6 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). პროცედურის საკითხთა კომისიის დღის სხდომა აღინიშნა განსაკუთრებული დაძაბული ბრძოლით კვორუმის წესის საკითხის გარშემო, რომელიც განსაზღვრავს კონფერენციის მთელ შემდგომ მსვლელობასა და ბედს. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს რეკომენდაციის მოწინააღმდეგეებმა, რაკი ვერ შესძლეს მოეყვანათ ოდნავ მაინც დამაჯერებელი არგუმენტები თავიანთი პოზიციის დასაცავად, სცადეს გაერთიანებინათ და აეზნიათ ვითარება, რათა ჩაეფუშათ მინისტრების საბჭოს მიერ წამოყენებული შეთანხმებული წინადადება.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წარმომადგენელმა მასარიკმა წინადადება წამოაყენა შეიქმნას ქვეკომიტეტი ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების გამოსამუშავებლად, შეტანილი მრავალი შესწორების საფუძველზე. ამ წინადადების წინააღმდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირა საბჭოთა დელეგაციამ, გაილაშქრეს ბირნსმა და მაკნეილმა და იგი უარყოფილ იქნა უმნიშვნელო უმრავლესობით — 11 ხმით 8-ის წინააღმდეგ, ხოლო ორმა (ჩინეთმა და ეთიოპიამ) თავი შეიკავა.

ასაბუთებდა რა თავის მოთხოვნას კვორუმის წესის საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტის შესახებ, მაკნეილმა შენიშნა, მინისტრების საბჭოს რეკომენდაციის შეცვლის შემოტანილი პროექტები საკმაოდ ბევრია. სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უკრაინის, პოლონეთის დელეგატები მტკიცედ მოითხოვდნენ შეთანხმებული გადაწყვეტილების გამომუშავებას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

საბჭოთა დელეგაციის მეთაური მოლოტოვი მტკიცედ მოითხოვდა, რომ კონფერენციაზე კვორუმის წესის საკითხი კომისიამ ხმის ორი მესამედის უმრავლესობით გადასწყვიტოს, ვინაიდან ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც განსაზღვრავს კონფერენციის მთელ შემდგომ მუშაობას. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი, სხვათა შორის, იმიტომ არ არის გათვალისწინებული პროცედურის პროექტით, რომ საბჭოთა დელეგაციას კვორუმის ასეთი წესი თავისთავად ნაგულისხმევად მიაჩნდა.

სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე დიდ სახელმწიფოების მიერ შეტანილ წინადადებათა შესწორებებს ხმის ორი მესამედის უმრავლესობით იღებდნენ. ჩემი წინადადება ამაში მდგომარეობს, — სთქვა მოლოტოვმა, — რომ 51 ერის კონფერენციაზე მიღებული პრაქტიკა, რომელსაც ყველანი ეთანხმებოდნენ ერთი წლის წინათ, ძალაში დარჩეს ჩვენი კომისიის სხდო-

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ვ. მ. ბაქრაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი სამშობლოს მოსისხლე მტრებზე — გერმანიის ფაშიზმსა და იაპონელ იმპერიალისტებზე სრული სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვების მოპოვების შემდეგ საბჭოთა ხალხი კვლავ მეუდგა შვიდწლიანად შემოქმედებითს შრომას.

სამამულო ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს მხსნელმა დიდმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვალს ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო ერგებზე წარმოთქმულ სიტყვაში დაგვისახა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და საბჭედრო ძალიერების ახალი ალმაფეტლობის გრანდიოზული ომის შემდგომი ამოცანები.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავეჯარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობით". ამასთან ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ „განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოზარდების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საქონლის ფასების თანდათანობითი შემცირებით და ყოველგვარი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ფართო მშენებლობას, რომელთაც შეუძლიათ საშუალება მისცენ მეცნიერებას გაშალოს თავისი ძალები".

საბჭოთა კავშირის აღმავლობისა და მისი ძალების შემდგომი განმტკიცების ამ გენიალურმა სტალინურმა პროგრამამ თავიანი განსახიერება ჰპოვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმაში, რომელიც სსრ კავშირის მეორე პოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიამ დაამტკიცა. ამ გეგმამ ახალი შესანიშნავი თავი გადაშალა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორიაში.

საბჭოთა საქართველოს მუშებმა და კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ და ყველა მშრომელმა ახალი ხუთწლიანი გეგმა მიიღეს, როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც მათს სტსიოლოგ ხლო ინტერესებს შეესაბამება; ეს ახალ სტალინურ ხუთწლიან გეგმაში ისინი ხედავენ ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეების გამარჯვებას.

მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს ამისათვის, რომ ვადამდე შესრულოს მეოთხე სტალინური ხუთწლედი. ცოტა დრომ განელო მას შემდეგ, რაც დიდი სამამული ომი ძლევამოსილად დამთავრდა, ხოლო ჩვენს ქვეყანაში უკვე მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ომით მიყენებული მძიმე ჭრილობების მოსაშუშებლად. ყოველდღე მოგვდის სასიხარული ცნობები სტალინური ხუთწლიანის პირველი წლის გეგმების წარმატებით შესრულების შესახებ. ზეიმზედ დგებიან მწყობრში ადგილები მეტალურგიული ქარხნები, ქანაბრშრის ზაჭები, მაღაროები და სხვა უდიდესი საწარმოები. წარმატებით მიმდინარეობს გერმანელ ფაშისტთა მიერ დაგნეული სოფლებისა და ქალაქების აღდგენა.

მთელი ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის დიადმა პათოსმა მოიცვა.

როგორც ცნობილია, სტალინური ხუთწლედები მუდამ წარმოადგენდენ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხისათვის ძლევამოსილი წინსვლის ლოზუნგს.

ჯერ კიდევ პირველმა სტალინურმა ხუთწლედმა ძირფესვიანად შეუცვალა სახე ჩვენს ქვეყანას. ჩვენი სამშობლო ეკონომიკურ ქვეყნად გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად და წარიყვანა ეკონომიკის ქვეყნიდან ნამსგავსი კოლექტიური, მეჭანიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

პირველმა სტალინურმა ხუთწლედმა მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ახალაზრ მეურნეობის ყველა დარგში.

მეორე სტალინური ხუთწლედი იყო ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, კულტურის ზრდის, პოლიტიკური და საბჭედრო ძალების განმტკიცებისა ხუთწლედი. მეორე ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად გადაიჭრა ძირითადი ისტორიული ამოცანები, — საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული ყველა ექსპლუატატორული კლასები, ძირითადად განხორციელდა კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი.

მესამე ხუთწლედი თავის ამოცანად ისახავდა ეკონომიკა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას. სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლა დაწყებულ მხოლოდ პიტლერული ვერმახის ეგრაგელმა თავდასხმამ შეგვიშალა ხელი, რომ ბოლომდე მოგვეყვანა მესამე სტალინური ხუთწლედის დიადი საქმე.

ჩვენნ უდიდესი ბედნიერებაა, რომ სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელებამ უზრუნველყოფა საბჭოთა ქვეყნის დროულად მობილიზება აქტიური თავდაცვისათვის, ეკონომისოფაც ვერ შეეძლებთ სრული გამარჯვების მოპოვებას ჩვენ სოციალისტური სამშობლოს ღირებულებისა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის წარმოებულ ისტორიულ ბრძოლაში.

ახალი სტალინური მეოთხე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ წინსულას, ამავე დროს ანამტკბის საბჭოთა საზოგადოების განვითარების ამ გზას, რომელიც დიდმა სტალინმა დაგვისახა ჯერ კიდევ საკავშირო კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე.

ეს გზა ითვალისწინებს უკანასკნელ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლას. იგი ითვალისწინებს გადაჭრას საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანისას — „დაეწიონ და გავეს-წრით ეკონომიურად მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს".

ისევე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ომამდე საქართველოშიც დიდი მუშაობა ტარდებოდა მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების განვითარებისა და ქართველი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამხანაგ ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულმა გრანდიოზულმა მეუბნამამ საქართველო გადაქცია მოწინავე ინდუსტრიის, აყვავებული სოფლის მეურნეობის და მაღალი კულტურის ქვეყანად. სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველოში ასობით ახალი სამრეწველო საწარმო აშენდა. დიდად განვითარდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, განსაკუთრებით ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგები, როგორიცაა ციტრუსები, ჩაი, მეკვნესბიზობა, მეფუტკრეობა. განსაკუთრებით დიდი წარმატებანი იქნა მიღწეული ქართველი ხალხის კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების დარგში.

ისევე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, სამამული ომის პირველივე დღეებიდან. ჩვენ იძულებული გავხდით შეგვეწყვეტა მშვიდობიანი მუშაობა და მთელი რესურსები და შეესაძლებლობანი გამოგვყენებინა ფრონტისათვის, მოსისხლე მტერზე გამარჯვებულ უზრუნველყოფის საქმისათვის.

ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვების საქმეში.

დიდი სამამული ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა საქართველო, ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად, კვლავ შეუდგა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რაც წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიის განსახილველად, გამომდინარეობს დიდი სტალინის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული გრანდიოზული ომისშემდგომი ამოცანებიდან და შეადგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის იმ კანონის სრული შესაბამისობით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო.

როგორც ცნობილია, საქართველო უშუალოდ არ დაზარალებულა ბრძოლებისაგან, მაგრამ ომის შედეგად ეს ჩვენს ქვეყანასაც. ჩვენი სამშობლო ერთ-ერთი ქვეყნისად გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად და წარიყვანა ეკონომიკის ქვეყნიდან ერთ-ერთ ეკონომიკის ქვეყნად. ეს ნიშნავს, ეროვნული ეკონომიკის ქვეყნიდან ნამსგავსი კოლექტიური, მეჭანიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

პირველმა სტალინურმა ხუთწლედმა მოსპო ადამიანის ექსპლუატაცია და უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ახალაზრ მეურნეობის ყველა დარგში.

მეორე სტალინური ხუთწლედი იყო ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, კულტურის ზრდის, პოლიტიკური და საბჭედრო ძალების განმტკიცებისა ხუთწლედი. მეორე ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად გადაიჭრა ძირითადი ისტორიული ამოცანები, — საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული ყველა ექსპლუატატორული კლასები, ძირითადად განხორციელდა კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი.

ეს ნიშნავს, ეროვნული ეკონომიკა ისახავდა ეკონომიკა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას. სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლა დაწყებულ მხოლოდ პიტლერული ვერმახის ეგრაგელმა თავდასხმამ შეგვიშალა ხელი, რომ ბოლომდე მოგვეყვანა მესამე ხუთწლედი.

ეს ნიშნავს, ეროვნული ეკონომიკა ისახავდა ეკონომიკა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას. ეს ნიშნავს, ეროვნული ეკონომიკა ისახავდა ეკონომიკა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას. ეს ნიშნავს, ეროვნული ეკონომიკა ისახავდა ეკონომიკა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას.

ბარების მეურნეობაში შეადგენს 591 მილიონ მანეთს.

საერთო პროდუქციის გამოშვების მოცულობა მატრ რესპუბლიკური, ადგილობრივი, და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოებში 1950 წლისათვის უნდა გადიდდეს 1.100 მილიონ მანეთამდე (1926/27 წლების ეროვნულ ფასებში), რაც 432 მილიონ მანეთით გადააჭარბებს 1945 წლის საერთო პროდუქციას. საერთო პროდუქციის ოდენობის მიხედვით უკვე 1948 წელს გადააჭარბები 1940 წლის წარმოების დონეს. ხუთი წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა საშუალოდ შეადგენს 11,5 პროცენტს.

მიმდინარე ხუთწლედში ამეშვედება ახალი ობიექტები, რომელთა ღირებულება 578 მილიონ მანეთს შეადგენს. ამენდება და ფუფობრნი ჩაგეგება რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარების 60 ახალი სამრეწველო საწარმო, რომელთა ღირებულება 168 მილიონ მანეთს მიაღწევს.

მარტო განათლებისა და ჯანმრთველობის დაცვის სამინისტროებს, აგრეთვე ხელოვნების საქმეთა სამმართველოსა და ფიზიკურტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტის უმაღლესი საარეკლებები ხუთწლედის განმავლობაში გამოუშვებენ 14 ათასამდე სპეციალისტს უმაღლესი განათლებით, ხოლო ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური საწყვეტელები — 35 ათასზე მეტ ახალგაზრდას საშუალო სპეციალური განათლებით.

სრულად გამოიან მეშუმბას ჩვენი ინტერნატები. ჯანმრთველობის დაცვის ამინისტროს მთავარი საკურორტო საამრთველოს სანატორიუმებში სწულების რაოდენობა გაიზრდება 26,4 პროცენტით, ამასთან აქ მეფველობაში არ არის მიღებული საკვაშრონო ეწყებათა ბოქმედი და მშენებლობის პროცესში მყოფი მრავალი სანატორიები.

საქონელბრუნვის საერთო თანხა 950 წლისათვის გადიდდება 5.100 მილიონ მანეთამდე, რაც 1.820 მილიონი მანეთით გადააჭარბებს 1940 წლის საქონელბრუნვის ღონეს.

ბრძოლა ნაყოფიერება გაიზრდება 32,1 პროცენტით. ამავე დროს სამრეწველო და საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდი გადიდდება 53,5 პროცენტით, ხოლო ერთი მუშის საშუალო ხელფასი 56,7 პროცენტით.

განათლების სამინისტროს სკოლების ქსელი იმეფვნდ გაიზრდება, რომ უზრუველყოფილ იქნას ბავშვთა ითლიანად ჩაბმა საყოველთაო-სავალდებელო სწავლებაში 7 წლის ასაკიდან. მარტო ქალაქებში აშენდება სულ ცოტა 18 სკოლა. ასობითა

ტაციოდ გადაეცემა სულ მცირე 753 ათასი ქვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

კომუნალური მეურნეობის კაპიტალური ხარჯები შეადგენს სულ მცირე 80 მილიონ მანეთს.

ხუთწლედის განმავლობაში ამეშვედება საკავშირო მნიშვნელობის ისეთი უდიდესი საწარმოები, როგორიცაა ამერეკეკასების მეტალურგიული ქარხანა, ელექტროსის საავტომობილო ქარხანა, ახალ ორთქლმავალსარემონტო ქარხანა, ელექტროსის ნაწარმის ქარხანა თბილისში, გორის ბამბეულის კომბინატი, 3,2 მილიონი ტონა ქვანახშირის საერთო სიმძლავრის შახტები, 4 ჰიდროელსადგური 199 ათას კილოვატ ელექტროენერგიის საერთო სიმძლავრისა, ამაა გარდა აშენდება 21 ათას 500 კილოვატი სიმძლავრის სასოფლო ჰიდროელსადგურები.

მიმდინარე ხუთწლედში უნდა გარეკეცდეს ჩვენი მაუდი ფაბრიკების სიმძლავრე, უნდა აეშენოთ და ავამუშაოთ მთელი რიგი ჩაის ფაბრიკები და კვების მრეწველობის სხვა საწარმოები, საშუ მასალათა საწარმოები, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ფართო მოხმარების საქონლის საწარმოები.

სოფლის მეურნეობაში მარცვლეული კულტურების ფართობება უნდა შეადგინოს 746 ათასი ჰექტარი, ტექნიკური კულტურების ფართობმა — 48 ათასი ჰექტარი. ხუთწლედის განმავლობაში გაშენდება ჩაის ახალი პლანტაციები 6 ათასი ჰექტარი, ციტრუსების — 11 ათასი ჰექტარი, ვენახ ლიმონის — 3 ათასი ჰექტარი, ვენახი — 11 ათასი ჰექტარი, ხეხილის ბაღები—15.000 ჰექტარი. მარცვლეული კულტურების სამეფალ მოსავლიანობა უნდა გადიდდეს 12 ცენტნერამდე ჰექტარზე, რაც თითქმის 4 ცენტნერით გადააჭარბებს გასულ წლის საშუალო მოსავალს.

ეზრუნველყოფილ უნდა იქნას 20 ათასი ჰექტარი ახალი ფართობეზის ამოშრობა, უმთავრესად ელფოდის ფაბრიკაში და საინეკეო ბრიწყალ ეზრუნველყოფილი ფართობებიან ზრდა 80 ათას ჰექტარამდე.

მეცხოველეობის დარგში: ცხენის სულოფალი ხუთწლედის განმავლობაში გადიდდება 43 პროცენტით, ძაბვიელეფსა რქოსანი პირტუკეკნა—17 პროცენტით, ცხვრისა — 41 პროცენტით, ღორისა — 52 პროცენტით. ყველა ეს ციფრი ნაკმაო ბოჯარელებით მოზრდის საქართველოს სსრ სახალხო მეურეობის განვითარების უდიდეს გაკანაზეს მეოთხე ხუთწლედში.

ეს გრანდიოზული გეგმა რომ შესრულდეს, ამისათვის უნდა ეიშრომოთ დაძაბვით, პატიოსნად და გულმოდგინედ, უკეთ მოვაწყოთ ყველა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა და, უწინარეს ყოვლისა, უზრუველვყოთ 1946 წლის—მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმის წარმატებით შესრულება.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ?

მიმდინარე წელს რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობის საწარმოებმა უნდა გამოიმუშაონ 458.508 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა კი 230 მილიონი მანეთისა.

მონაცემები მოწმობენ, რომ გასული ექვსი თვის მანძილზე მთლიანად ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა დამაკმაყოფილებლად მუშაობდა და ნაგეგი წლის გეგმა 3,7 პროცენტის გადამეტებით შეასრულა. კარგად მუშაობენ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც 12,9 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმის გადაჭარბეს 5,1 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1 პროცენტით.

მაგრამ საერთო დამაკმაყოფილებელმა მაჩვენებლებმა არ უნდა დაჩრდილოს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. საქმე შემდეგშია:

სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს არტელებმა და საწარმოებმა 2,7 პროცენტი დააკლეს წარმოების გეგმის შესრულებას. წლის პირველი ნახევრის გეგმა მთლიანად არ შეესრულებიათ აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, სოციალური უზრუველყოფის სამინისტროების, საშუ მასალათა მრეწველობის სამმართველოს და საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს საწარმოებს. იმ სამინისტროების სისტემაში, რომლებმაც მთლიანად შეასრულეს წლის პირველი ნახევრის გეგმა, პოიპოვებიან ისეთი დარგები და საწარმოები, რომლებმაც ბევრი დააკლეს გეგმების შესრულებას. მაგალითად, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ წლის პირველ ნახევარში დაგვაკლო: 224 ტონა ხორცი, 342 ტონა ძეხვის ნაწარმი, 224 ტონა კარაქი და 81 ტონა ნაყინი. მთლიანად ყვების მრეწველობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა წლის პირველი ნახევრის გეგმა და, მიუხედავად ამისა, ყვების მრეწველობამ წლის პირველ ნახევარში დაგვაკლო: 432 ტონა მაკარონის ნაწარმი, 120 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 39 ტონა მცენარეული ზეთი, 670 ტონა სპირნი, 376 ტონა ქაღალდი, 84 ტონა თამბაქო, 185 ტონა ბზა შეფუთველი ჩაი.

საფეიერო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა დაგვაკლეს თითქმის 43 ტონა ბამბის ნარჩი, 179 ათასი მეტრი ბზა ებრეშუმის ქსოვილი, 74 ათასი მეტრი შალის ქსოვილი და 130 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი.

ამრიგად, საშუალო მაჩვენებლებში ზოგჯერ სეროიზეი ნაკლოვანებანი იმალება.

ამმრეწველო წარმოების გეგმის შესრულების საქმეში ცალკეული სამინისტროებისა და მთელი რიგი საწარმოების ჩამორჩენა უმთავრესად აიხსნება საბუმათოთა ცუდი ორგანიზაციით და არასაკმაო ხელმძღვანელობით.

გეგმების შეესრულებლობის მიზეზად საწარმოთა ხელმძღვანელები ზჩრიან ანაბეჭებენ, საერთოდ, მუშახელის, და, ტრანსპ, ელექტროენერგიის ნაკლებობას და მოიიხოვენ, რომ მათ მისცენ ეს ეშეფნ. ამ ხელმძღვანელებს ეეიწყვიტეთ, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტიური კრებაზე ამხანაგმა ჩარკვეანმა გააფრთხილა საპეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სა ფარმოთა ფინანსტორები იმის შესახებ, რომ „მათ უნდა ეუკუგდონ ომიანობის დროიდან მეყვეფლოებიდან მიღებული ზოგიერთი ჩვეულება და შეეგნონ, რომ სამინისტროებმა და საწარმოთა ფინანსტორებმა ახლა ეეფთონ ნორმალური გზით უნდა უზრუველყონ თავიანთი საწარმოები მუშახელით და შეეფნონ მუშებს კარგი სამინაოაყოფაცხოვრები პირობებიდ". საწარმოთა ბევრ ფინანსტორს და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ გაეთვალისწინებიათ ამ გაფრთხილებიდან საბოლოო დასკვნა. ისინი ნაკლებად ზრუნავენ მუშათა შერჩევისა, მოამზადებენ და შენარჩუნებისათვის. მათ ეფფელი აქვთ, რომ ეიმეე მისცეს მუშახელს. ბინეულობაციის წესით და არ ეკმით, რომ მშვიდობიან პირობებში ეს შეუწყარებელია. ასეთ განწყობილებას გადაჭარნ უნდა მოეოლს ბოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შეეძლებთ მეოთხე სტალინური ხუთწლედი დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

უფრო უარეს მდგომარეობაშია საქმე კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების მხრივ.

დამტკიცებული გეგმის თანახმად მიმდინარე წელს უნდა შეესრულოთ 112 მილიონი მანეთის მოცულობის კაპიტალური სამუშაოები. აქედან წლის პირველ ნახევარში უნდა შეესრულებინა კაპიტალური მშენებლობა 40.720 ათასი მანეთის მოცულობით, ნამდვილად კი გასული 6 თვის განმავლობაში კაპიტალური სამუშაოები შესრულებულია მხოლოდ 28.242 ათასი მანეთის მოცულობით.

კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების საქმეში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვთ ნორკისა და რძის მრეწველობის, ვაკრობის, წყალთა მეურნეობის, ენერგეტიკა-ფიბენიკური ინდუსტრიების, ჯანმრთველობის დაცვის, განათლების სამინისტროებს, აგრეთვე, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და ცეკავშირს.

სახინაო-სასტუმრო მშენებლობისათვის გეგმით გათვალისწინებული 2.639 ათასი მანეთიდან წლის პირველ ნახევარში ათვისებულია მხოლოდ 1.504 ათასი მანეთი, კომუნალური მშენებლობის ხაზით — 7.630 ათასი მანეთიდან ათვისებულია 5.139 ათასი მანეთი.

წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობენ, რომ თუ მუშაობა მკვეთრად არ გააუმჯობესეთ, ჩვენ ვერ შეეასრულებთ მიმდინარე წლეს კაპიტალურ სამუშაოთა გეგმას და ამით საფრთხეს შეეექმნით მეოთხე ხუთწლედის შესრულების საქმეს.

კონკრეტულად უნდა მოგაღოთო ხელი სამშენებლო სამუშაოთბის გაუმჯობესებას ყოველ ცალკე მშენებლობაზე და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ხუთწლედის განმავლობაში ყოველწლიურად შეეასრულოთ კაპიტალური სამუშაოთა მოცულობა არანაკლებ 120 მილიონი მანეთისა. მხოლოდ ისეთი მუშაობის მოწყობით შეეეიძლოა წარმატებით შეეასრულოთ მეოთხე ხუთწლედი კაპიტალური მშენებლობის დარგში. უწინარეს ყოველისა, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საშენ მასალათა მრეწველობის ჩამორჩენილ ლიკვიდაციას და მისი მუშაობის გაუმჯობესებას, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციების, პირველ რიგში ტრესტ თბილმშენის, საქმიანობისა და საქალაქმშენის განტკიცებასა და გაძლიერებას.

უკანასკნელ დროს ჩვენ გავაკეთეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, სერიოზული დახმარება გავუწიეთ საშენ მასალათა მრეწველობას, მაგრამ საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ და გეგმას ვერ ასრულებენ.

ამ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებსა დიდი დახმარება მიიღეს. ეინიდან სა ფენ მასალათა მრეწველობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აშენებლობის ფრონტზე, ამიტომ ეს ფენ საქმეში, საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო გადაგაკეთეთ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროდ. მინისტრად დანიშნა გამოცდილი მუშაკი ამხ. პატაშელი, რომელიც, თუ მას საკმარო დახმარებას გაუწევთ, შეესრულებს სათანადო სიმაღლეზე დაკეთნოს ჩვენი მრეწველობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს უკვე მომავალი წლის დამდეგიდანვე მთლიანად უნდა აითვისოს თაეიანი საწარმოები, ტრამიდ, აგურისა და კრამიტის ქარხნების საწარმოო სიმძლავრე, გაუმჯობესოს აგურისა და კრამიტის ხარისხი და, ამის გარდა, ეუფლოსა ორი-სამი წლის განმავლობაში დაამთავროს 20 მილიონი აგურისა და 2 მილიონი კრამიტის წლიური სიმძლავრის ორი ახალი აგურის ქარხანა და 25 ათასი ტონა ეეიმენტის წლიური სიმძლავრის ეეიმენტის ქარხნის მშენებლობა, დაამთავროს „თეოძამის ტუფის" საწარმოს მოწყობა და გადასცეს ოგი საკუმალოტაციოდ, მიღებული მოწყობილობის ბაზაზე, მოამზადოს კერძოების გრანიტისა და „ეკალარის ქვის მოპოვებისა და დამუშავების მექანიზაცია, აამაღლოს და საიმესლოპაციოდ გადასცეს წყალთბილის თაბაშირის ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 10 ათას ტონა საშენ თაბაშირს.

მიმდინარე წლის თებერვალში თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო ერგებზე ამხანაგმა ბერიამ გააკეთა ფართო ანგარიში ეროვნული ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმეზე. ეროვნული ეკონომიკა ისახავდა ეკონომიკა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას. ეს ნიშნავს, ეროვნული ეკონომიკა ისახავდა ეკონომიკა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას. ეს ნიშნავს, ეროვნული ეკონომიკა ისახავდა ეკონომიკა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ვ. მ. ბაქრაძის სიტყვა

(დასასრული)

ბა. ჩვენს სამშენებლო ტრესტებს საქშენს, საქკვებმშენს და თბილმშენს არ მოეპოვებათ საკმაო მოწყობილობა მშენებლობის ფართო მექანიზაციისათვის, რაც ძლიერ გავლენას ახდენს მათს მუშაობაზე. ძალიან ძნელი საქმე აღმოჩნდა მექანიზმების შოვნა ადგილობრივი სამშენებლო ტრესტებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ამოცანა უახლოესსავე თვეებში უნდა მოვაგვაროთ.

თვით სამშენებლო ტრესტებმა გადაჭრით უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, გააძლიერონ ტემპები და გააუმჯობესონ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი. მათ მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ შემდეგში ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩამორჩენას მშენებლობის საქმეში.

მეოთხე ხუთწლედში სამრეწველო წარმოების დავალების შესრულების მხრივ, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ახალი მძლავრი საწარმოების მშენებლობის დროულად დამთავრებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს არსებულ საწარმოთა ნამდვილი სიმძლავრის ათვისებას. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანი მოგვეპოვება. მაგალითად, ადგილობრივი (რაიონული) მრეწველობის აგურ-კრამიტის ქარხნებს თავიანთი სიმძლავრის მიხედვით შეუძლიათ ყოველწლიურად გამოუშვან 20 მილიონი ცალი აგური და 4 მილიონი ცალი კრამიტი, ნამდვილად კი მათ 1945 წელს გამოუშვეს 10 მილიონი ცალი აგური და 1.900 ათასი ცალი კრამიტი.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აგურ-კრამიტის ქარხნებს თავიანთი სიმძლავრის მიხედვით შეუძლიათ ყოველწლიურად გამოუშვან არანაკლებ 40 მილიონი ცალი აგური და 2,5 მილიონი ცალი კრამიტი, მაგრამ 1945 წელს გამოუშვეს მხოლოდ 14 მილიონი ცალი აგური და 700 ათასი ცალი კრამიტი.

საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის სიმძლავრე, მისი გაფართოების შემდეგ, გადიდდა და იგი უნდა უშვებდეს 900 ტონამდე ნართს წელიწადში სამ ცვლად მუშაობის დროს. ნამდვილად კი ამ ფაბრიკამ 1945 წელს გამოუშვა 323 ტონა და 1946 წლის გეგმით უნდა გამოუშვას მხოლოდ 480 ტონა ნართი. ამასთან წლის პირველ ნახევარში ფაბრიკამ გამოიმუშავა მხოლოდ 184 ტონა ნართი.

ეს ცნობები მოწმობენ, რომ მოქმედ საწარმოებში გამოუყენებელი გვაქვს სიმძლავრეთა ერთგვარი რეზერვები. კონკრეტულად უნდა შევამოწმოთ ამ მხრივ ყოველი ცალკეული საწარმო, მივიღოთ საჭირო ზომები და უკვე 1947 წლიდან უზრუნველვყოთ ყველა მოქმედი საწარმოს სიმძლავრეთა სრულად გამოყენება, რაც მოგვცემს სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას.

რამდენიმე სიტყვა ზოგიერთ ჩვენს საწარმოში საქმის უყაირათოდ გაძღოლისა და სახსრებისა და მასალების არაეკონომიურად ხარჯვის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონი მოითხოვს, რომ ჩვენ გავადიდოთ მოგებისა და მეურნეო ანგარიშის, როგორც წარმოების ზრდის დამატებითი სტიმულის, მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში. კანონი მოითხოვს ეკონომიის მტკიცე რეჟიმის დაცვას და უყაირათო და უნაყოფო ხარჯების გადაჭრით ლიკვიდაციას.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? მთლიანად სახელმწიფო მრეწველობა რენტაბელურად მუშაობს და დიდ დაგროვებას იძლევა, მაგრამ საწარმოთა ერთ ნაწილს უყაირათობისა და მუშაობის ცუდი ორგანიზაციის შედეგად, მნიშვნელოვანი ზარალი მოსდის.

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემამ მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში იმის ნაცვლად, რომ პროდუქციის თვითღირებულება 1,9 პროცენტით შეემცირებინა, დაუშვა მისი გაძვირება 12,3 პროცენტით და 865 ათასი მანეთი იზარალა.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს დავალებული ჰქონდათ შეემცირებინათ თვითღირებულება 11,3 პროცენტით, ნამდვილად შეამცირეს მხოლოდ 3 პროცენტით, დაუშვეს გადახარჯვა 131 ათასი მანეთის რაოდენობით.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის ყველა ფაბრიკა არარენტაბელურად მუშაობს და მათ 1.850 ათასი მანეთის ზარალი აქვთ.

ტექნიკური კულტურების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა დღემდე იღებს ყოველწლიურ დოტაციის სახით დიდძალ თანხას.

უნდა განვაცხადო, რომ თუ გულმოდგინედ შევისწავლით ყოველი ცალკე საწარმოს მდგომარეობას და უკეთ მოვაწყობთ მათს მუშაობას, შეგვიძლია რენტაბელური გავხადოთ დიდძალი საწარმო, რომელთაც ამჟამად ზარალი მოსდით. ეს კი საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ მილიონობით მანეთის სახელმწიფო სახსრები.

უყაირათო მუშაობის ყველაზე მკვეთრ მაგალითს გვიჩვენებს თბილისის ქაღალდის ფაბრიკა. ამ ფაბრიკაში ერთი ტონა ქაღალდის ღირებულება 1945 წელს გაიზარდა 2.559 მანეთამდე, ნაცვლად 1941 წლის 900 მანეთისა, ე. ი. თითქმის ერთიასამად. ერთი ტონა ქაღალდის საპრეისკურანტო ფასი მაქსიმალურად არ აღემატება 1.250 მანეთს და პროდუქციის თვითღირებულების ასეთი უდიდესი ზრდის დროს, გასაგებია, ქაღალდის ფაბრიკას მოსდის დიდი ზარალი, რაც 1945 წელს 2.626 ათას მანეთს შეადგენდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ რამდენიმე წლის წინათ თბილისის ქაღალდის ფაბრიკა მოგებას იძლეოდა. მაშ რა მოხდა? ქაღალდის ფაბრიკას თავისი სიმძლავრის მიხედვით შეუძლია ყოველწლიურად გამოუშვას 3,5 ათასი ტონამდე ქაღალდი. მიუხედავად ამისა, ფაბრიკამ, თუმცა იგი უზრუნველყოფილია ნედლეულითა და სხვა დამხმარე მასალებით, 1945 წელს გამოიმუშავა 1.442 ტონა ქაღალდი, ხოლო 1946 წლისათვის დაგეგმილია 2.600 ტონა. გაუგებარია, რატომ არ უნდა აითვისოს თბილისის ქაღალდის ფაბრიკამ მიმდინარე წელსვე მთელი თავისი საწარმოო სიმძლავრე, როცა მას ნედლეულის (ცელულოზის) წლინახევრის მარაგი მოეპოვება. უჩივიან მუშახელის ნაკლებობას, მაგრამ ამით არ შეიძლება ესოდენ ცუდი მუშაობის გამართლება. ფაბრიკის არასაკმაო დატვირთვა წარმოადგენს პროდუქციის შეუწყნარებლად მაღალი თვითღირებულების ერთ-ერთ მიზეზს, მაგრამ მთავარი მაინც უყაირათობაა. სავსებით გაუგებარია, მაგალითად, თუ რატომ უნდა ჯდებოდეს ერთი ტონა ქაღალდის შეფუთვა 47 მანეთი, როცა იგი 1941 წელს მხოლოდ 15 მანეთი ჯდებოდა? კალკულაციით ნაჩვენებია, რომ ერთ ტონა ქაღალდზე წყლის ღირებულება 1941 წლის 26 მანეთიდან ვითომდა 96 მანეთამდე გადიდდა 1946 წელს, ორთქლის ღირებულება—108 მანეთიდან 290 მანეთამდე, ელექტროენერგიის ღირებულება—23 მანეთიდან 48 მანეთამდე, ხელფასი გადიდდა 63 მანეთიდან 201 მანეთამდე, დანარიცხები—4 მანეთიდან 15 მანეთამდე, საამქროს ხარჯები—152 მანეთიდან 349 მანეთამდე და საფაბრიკო ხარჯები—97 მანეთიდან 290 მანეთამდე. სავსებით ცხადია, რომ თბილისის ქაღალდის ფაბრიკაში ადგილი აქვს განსაკუთრებულ დაუდევრობას და სახელმწიფო სახსრების ხარჯვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

კვების მრეწველობის სამინისტრო ახლავე კონკრეტულად უნდა შეუდგეს ამ ფაბრიკაში საქმის მოგვარებას და ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ უკვე მიმდინარე წელს ჩვენ შევძლებთ დოტაციის შემცირებას სულ ცოტა სანახევროდ მაინც.

უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ რა გვიჯდება ასეთი უყაირათო მუშაობა, საკმარისია ითქვას, რომ იმ სახსრებით, რომლებსაც დოტაციის წესით იღებს თბილისის ქაღალდის ფაბრიკა, შეიძლება ყოველწლიურად აშენდეს ორ-ორი სრულკომპლექტიანი საშუალო სკოლა, რომელთაგან თვითეული 880 მოსწავლეს დაიტევს.

ეს მაგალითები იმისათვის მოვიყვანეთ, რომ გადაჭრით გავაფრთხილოთ მინისტრები, ცენტრალურ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, აგრეთვე საწარმოთა დირექტორები, რომ საჭიროა უსასტიკესი ეკონომიის დაცვა ნედლეულის, მასალების, სათბობის ხარჯვაში და ყაირათიანი დამოკიდებულება სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ღირებულებათა გამოყენებისადმი.

მინდა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს ხელმძღვანელობა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებისა და რაიმრეწვკომბინატების მუშაობისადმი.

არსებული ცნობები მოწმობენ, რომ იქ, სადაც რაიონული და საქალაქო აღმასკომები კონკრეტულად და ოპერატიულად მუშაობენ ადგილობრივი მრეწველობის საკითხებზე, კონტროლს უწევენ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებისა და სამრეწველო კომბინატების მუშაობას, რაიონული მრეწველობის საწარმოები ცუდად როდი მუშაობენ, იქ კი, სადაც რაიაღმასკომები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივ საწარმოებს, მათ მნიშვნელოვანი ზარალი მოსდით. ადგილობრივი მრეწველობის 46 განყოფილებიდან და რაიმრეწვკომბინატიდან, რომლებმაც 1945 წლის ანგარიშები წარმოადგინეს, თექვსმეტმა განყოფილებამ და რაიმრეწვკომბინატმა 2.277 ათასი მანეთი იზარალა. დიდი ზარალი მოუვიდათ ლაგოდეხის რაიმრეწვკომბინატს—448 ათასი მანეთი, საგარეჯოს რაიმრეწვკომბინატს—222 ათასი მანეთი, სიღნაღის რაიმრეწვკომბინატს—185 ათასი მანეთი, გურჯაანის რაიმრეწვკომბინატს — 690 ათასი მანეთი. 30-მა რაიმრეწვკომბინატმა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გასულ წელს მიიღო დაგროვება 6.369 ათასი მანეთის რაოდენობით. უნდა აღინიშნოს კარგი მუშაობა ამბროლაურის რაიონის ადგილობრივი მრეწველობისა, რომელმაც გასულ წელს მიიღო დაგროვება 1.132 ათასი მანეთის რაოდენობით და ქუთაისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობისა, რომელმაც 572 ათასი მანეთი დააგროვა.

რაიონულმა და საქალაქო აღმასკომებმა სისტემატურად უნდა იმუშაონ ადგილობრივი მრეწველობის საკითხებზე, ყოველნაირად განავითარონ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ადგილობრივი სახის ნედლეულის გამოყენების ბაზაზე, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და გააიაფონ მისი თვითღირებულება.

სოფლის მეურნეობის დარგში, მრავალწლიანი ნარგავების ფართობის მნიშვნელოვან გადიდებასთან ერთად, ჩვენს წინაშე დასახულია მიწათმოქმედების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სერიოზული ამაღლების ამოცანა. 1950 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი უნდა შეადგენდეს 895,2 ათას ტონას, რაც 185 ათასი ტონით აღემატება 1945 წლის მარცვლის საერთო მოსავალს.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მივიღოთ თითო ჰექტარზე საშუალოდ მოსავლიანობა კარტოფილისა—85 ცენტნერი, შაქრის ჭარხლისა — 160 ცენტნერი, ბამბისა—9 ცენტნერი და თამბაქოსი—8,5 ცენტნერი. მწვანე ჩაის ფოთლის კრეფა უნდა ავიყვანოთ 70 ათას ტონამდე. ვენახების მოსავლიანობა გადიდდება სულ მცირე 40 ცენტნერამდე ჰექტარზე.

ამ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულება შეუძლებელია აგროტექნიკის მთელი კომპლექსის გადაჭრით გაუმჯობესების გარეშე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცების გარეშე.

მარცვლეული და სათესი კულტურების მოსავლიანობის გადიდების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს სწორი თესლბრუნვის შემოღება. ჩვენი აღმოსავლეთი რაიონების კოლმეურნეობებში თესლბრუნვის დანერგვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. 1946 წლისათვის დაწესებული გეგმა ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად სრულდება. უნდა გავაძლიეროთ ეს მუშაობა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სწორი თესლბრუნვის შემოღების დავალების შესრულება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვეღოთ ბოლო ბალახთესვის შეუფასებლობას. ბალახების თესლის ნაკლებობის შევსებას ჩვენ გარეული ბალახების თესლის დამზადებით ვცდილობთ. ყოველმხრივ უნდა გაუმჯობესდეს ნიადაგის დამუშავება. შემდეგში შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა საანეულო ხვნისა და მზრალად ხვნის გეგმა სისტემატურად არ სრულდება დაწესებულ ვადებში.

მიმდინარე ხუთწლედში ჩვენ უნდა შევასრულოთ დიდი მოცულობის წყალთა მეურნეობის სამუშაოები როგორც დაჭაობიანებული მიწების ამოშრობის, ისე ახალი ფართობების მორწყვის მხრივ. კოლხიდის დაბლობის ამოშრობის დიდი სამუშაოების გარდა, ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სარწყავი არხების დამთავრებას, უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში.

კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა, კოლხიდისა და სამგორის მშენებლობის გამოკლებით, წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 108 მილიონ მანეთს. ჩვენ არასოდეს არ გვქონია ესოდენ დიდი ასიგნებანი წყალთა მეურნეობის სამუშაოებისათვის.

წელს წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით უნდა შევასრულოთ 16 მილიონი მანეთის სამუშაოები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დიდი დახმარება გაგვიწია, როცა ერთი თვის წინათ მიიღო სპეციალური დადგენილება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში სარწყავი სისტემების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაჩქარების შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, 1947 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის უნდა მოვამზადოთ 16 ათას ჰექტარზე მეტი სარწყავი მიწა.

წყალთა მეურნეობის მშენებლობის სამუშაოები ჯერ კიდევ საკმაოდ არ გაშლილა. წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და სათანადო რაიაღმასკომებმა საჭირო ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ სარწყავი არხების მშენებლობის დროულად დამთავრება, განსაკუთრებით ქართლისა და კახეთის რაიონებში.

კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებთან ერთად ჩვენი ახალი ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს ზემოსამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებ ამ ობიექტის უდიდეს მნიშვნელობაზე. მხოლოდ ვიტყვი, რომ ამჟამად ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის ყველა პრაქტიკული საკითხი უკვე გადაჭრილია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის ივნისში მიიღო დადგენილება ზემოსამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ. მოწყობილია სამგორმშენი, იწყება მუშაობა დროებითი საცხოვრებელი ბინების, საწყობების დამხმარე საწარმოო ნაგებობათა მშენებლობისათვის. 1947 წლიდან დაიწყება სათავის ნაგებობათა მშენებლობა სოფელ ფალდოსთან და ზემოსამგორის არხის მშენებლობა. 1946-47 წლებისათვის სამგორის სარწყავი სისტემის კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა განისაზღვრება 37 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან 1946 წლისათვის გათვალისწინებულია 12 მილიონი მანეთი.

სისტემატურად და ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ სამგორმშენს და ტრესტ ხრამჰესმშენს იმ მხრივ, რომ წარმატებით დაამთავრონ ამ ხუთწლედში ზემოსამგორის მთელი სარწყავი სისტემა ორი წყალსაცავითა და ელექტროსადგურებით.

ზემოსამგორის სარწყავი სისტემა იმ წყალსაცავთან ერთად, რომელიც ამ ხუთწლედში მდინარე ლელთახევზე აშენდება, აყვავებულ ბაღებად გადააქცევს უდაბურ მიწებს, რომლებიც ქალაქ თბილისის ირგვლივ მდებარეობენ მტკვრის ორივე ნაპირზე.

ციტრუსების, ჩაის, ვენახების, ხეხილის ბაღებისა და სხვა მრავალწლოვანი ნარგავების ახალი ფართობების გაშენების გეგმის შესრულებასთან ერთად, საჭიროა სერიოზულად გაუმჯობესდეს ამ კულტურების მოვლა და დამუშავება. შემდეგში არ შეიძლება ისეთი მდგომარეობის მოთმენა, როცა ვენახებისა და ხეხილის ბაღების ერთი ნაწილი ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩება, ხოლო მეორე ნაწილის დამუშავება არახარისხოვნად ტარდება.

არსებული ცნობები მოწმობენ, რომ 1945 წელს სრულიად დაუმუშავებელი დარჩა 1.200 ჰექტარი ვენახი.

მიუხედავად იმისა, რომ განოყიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრავალწლოვანი ნარგავებისათვის, ჩვენ დღემდე ვერ უზრუნველვყავით ამ მხრივ ციტრუსებისა და ჩაის მთელი მოთხოვნილება. ვენახებისა და ხეხილის ბაღების დიდი უმრავლესობა წლითიწლობით საერთოდ გაუნოყიერებელი რჩება. ასეთ პირობებში შეუძლებელია რიგიანი მოსავლის მიღება.

მიმდინარე წელს მინერალური სასუქის განსაზღვრული რაოდენობა მივიღეთ ციტრუსებისა, ჩაისა, შაქრის ჭარხლისა და ნაწილობრივ თამბაქოსათვის. კოლმეურნეობებში მოიპოვება ადგილობრივი სასუქის (ნაკელის) ერთგვარი რაოდენობა, რომელიც შეიძლება შევიტანოთ და კიდევაც უნდა შევიტანოთ ვენახებსა და ხეხილის ბაღებში.

1947 წელს დამთავრდება ქობულეთისა და ზუგდიდის ტორფ-ფოსფატის ქარხნების, აგრეთვე ფოთისა და ბათუმის ტორფ-ფეკალის ქარხნების მშენებლობა, რომლებიც 200 ათას ტონამდე ორგანულ სასუქს მოგვცემენ სუბტროპიკული მეურნეობისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს სრულიად არასაკმაოა და ვერ უზრუნველყოფს ჩვენი სოფლის მეურნეობის უდიდეს მოთხოვნილებას სასუქზე.

იმის გამო, რომ ხელოვნური სასუქის შემოტანა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეებიდან მეტად გაძნელებულია, ჩვენს წინაშე დასახულია გადაუდებელი ამოცანა—ავაშენოთ საქართველოში მინერალური სასუქის დამამზადებელი ქარხანა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ჩვენ ვითხოვეთ შეეტანათ მეოთხე ხუთწლედის გეგმაში 70 ათასი ტონა სასუქის წლიური სიმძლავრის აზოტ-ტუკის ქარხნის მშენებლობა. ჯერჯერობით აღნიშნული მშენებლობა გათვალისწინებული არ არის ხუთწლიანი გეგმით, საკითხი განსახილველად გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

უსათუოდ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მიმდინარე ხუთწლედშივე ავაშენოთ ხელოვნური სასუქის ქარხანა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

ყოველგვარი სახის პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვან გადიდებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას. გეგმის თანახმად, 1950 წლისათვის ერთი საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა უნდა შეადგენდეს 650 კილოგრამს, ხოლო მატყლის კრეჭა თითო ცხვარზე—2,6 კილოგრამს.

ამ დავალების შესასრულებლად სერიოზული მუშაობა დაგვჭირდება. საქმე იმაშია, რომ ჩვენში მეცხოველეობის პროდუქტიულობა ძალიან დაბალია. 1945 წელს თითო საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებში შეადგენდა მხოლოდ 295 ლიტრს. ასეთი უმნიშვნელო წველადობა აიხსნება პირუტყვის არადამაკმაყოფილებელი ჯიშობრივი შემადგენლობით, ძროხების დიდ რაოდენობის სიბერწით და პირუტყვის არასაკმაო მოვლით. მაგალითად, კოლმეურნეობათა პირუტყვის საერთო ჯოგში ჯიშიანი პირუტყვი შეადგენს: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი—7 პროცენტს, ღორი—25 პროცენტს და ცხენი—17,5 პროცენტს. 1945 წელს კოლმეურნეობათა ყველა ძროხის 41,2 პროცენტი გაბერწდა. ეს არანორმალური მდგომარეობა ჩვენს მეცხოველეობაში სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ.

რამდენიმე სიტყვა მეაბრეშუმეობის შესახებ, რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს.

საქართველოს მეაბრეშუმეებმა ჭიის გამოკვებისა და პარკის ჩაბარების გეგმა მიმდინარე წელს 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 2.652,5 ტონა პარკი, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად იქნას გამოყენებული ჩვენი აბრეშუმსახვევი ფაბრიკების სიმძლავრე, საჭიროა 4.200 ტონა ნედლი პარკი. პარკის ნაკლებობის გამო, ფაბრიკები დატვირთული არ არიან და მოსახლეობას მილიონობით მეტრი აბრეშუმი აკლდება.

უახლოეს წლებში მეაბრეშუმეობის საქმე იმდენად უნდა განვავითაროთ, რომ სავსებით უზრუნველვყოთ ნედლეულით საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს ყველა აბრეშუმსახვევი ფაბრიკა. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, სერიოზულად უნდა განმტკიცდეს მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა—დაირგოს რაც შეიძლება მეტი თუთის ხე და გაუმჯობესდეს საგრენაჟო ქარხნების მუშაობა მაღალხარისხოვანი თესლის გამოსაყვანად. უახლოეს დროში ამ მიმართულებით დასახულ იქნება სპეციალური ღონისძიებანი.

ცოტა რამ ტყეების დაცვისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა შესახებ.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხ. ჩარკვიანმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „თუმცა საქართველოს ტყის მნიშვნელოვანი მასივები მოეპოვება, მაგრამ არსებითად ჩვენ მაინც უტყეო რესპუბლიკა ვართ. საექსპლოატაციოდ ხელმისაწვდომ ტყეებს ჩვენში საკურორტო და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვთ, ის ტყეები კი, რომლებიც შეიძლება ექსპლოატირებულ იქნან, ისეთ ადგილებში მდებარეობენ, სადაც ადამიანისათვის მისვლა ძნელია. უკვე თავდება ის ტყეები, სადაც შეშას ამზადებენ თბილისისა და სხვა ქალაქებისათვის“.

ინტენსიურმა ჭრამ ძლიერ გაამეჩხერა ჩვენი ტყეები, განსაკუთრებით ის ტყეები, რომლებიც დასახლებული პუნქტების მახლობლად მდებარეობენ. უკვე ახლაც მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობა მოკლებულია საშუალებას იპოვოს სადმე შეშა პირადი საჭიროებისათვის. თუ ამას დავუმატებთ, რომ წიწვიან ტყის მასივებს ძლიერ აზიანებენ მავნებლები, განსაკუთრებით ექვსკბილა ქერქიჭამია, რომელიც ყოველწლიურად დიდძალ ტყესა სპობს, ნათელი გახდება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ტყეების გულმოდგინე დაცვას და სატყეო-კულტურულ მუშაობას. თუ ამ მიმართულებით არ იქნა მიღებული გადამწყვეტი ზომები, ორი-სამი ათეული წლის შემდეგ საქართველო შეიძლება უტყეოდ დარჩეს, ამას კი შეუძლია სავსებით შეცვალოს ცხოვრების პირობები. უკვე ახლავ სისტემატური ძლიერი ქარი უდიდეს ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ვაკე ნაწილში.

თუ სერიოზული ქარსაცავი ზოლი არ შეიქმნა მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ, ხაშურიდან ყარაიისა და საგარეჯოს რაიონებამდე ჩათვლით, ისე ვერ მივაღწევთ სერიოზულ წარმატებას სოფლის მეურნეობაში.

ტყის კორომების გაშენების მხრივ ჩვენ ძალიან ცუდად ვმუშაობთ. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1926 წლიდან 1945 წლამდე სულ გაშენებულია ტყის კულტურები 8 ათას ჰექტარამდე ფართობზე და მათგან შენარჩუნებულია მხოლოდ 5.300 ჰექტარი.

საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ყოველწლიურად შენდებოდეს ორ-ორი, სამ-სამი ათასი ჰექტარი ტყის კულტურები. თუ დასავლეთ საქართველოს რაიონებში, კერძოდ, სუბტროპიკულ რაიონებში, ტარდება ერთგვარი მუშაობა ქარსაცავი ზოლების შესაქმნელად, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ამ მხრივ არაფერი არ კეთდება. მიმდინარე ხუთწლედში, დასავლეთ რაიონებში ევკალიპტის რაოდენობის 40 მილიონ ძირამდე აყვანის გეგმის აუცილებლად შესრულებასთან ერთად, უნდა უზრუნველვყოთ სერიოზული ქარსაცავი ზოლის შექმნა მდინარე მტკვრის ხეობაში და მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად მოსპობილი ველოვანი ტყეების თუნდაც ერთი ნაწილის აღდგენა.

მაგრამ ყოველივე ამასთან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ ტყეების ხელოვნური გაშენებით შეუძლებელია იმ ზარალის ანაზღაურება, რასაც სატყეო მეურნეობას აყენებს უსისტემო ექსპლოატაცია და თვითნებური ჭრა, რაც არასაკმაო დაცვისა და სათანადო მოვლის უქონლობის შედეგს წარმოადგენს.

სატყეო მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს, აგრეთვე რაიაღმასკომებისა და კოლმეურნეობების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ტყის მასივების სათანადო დაცვისა და მოვლის უზრუნველყოფა. მარტო მევენახეობისათვის ყოველწლიურად საჭიროა 130 მილიონ ცალამდე ჭიგო. ჩვენი ტყეები ვერ უზრუნველყოფენ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ, რომ საჭიგოდ უნდა მოიჭრას მხოლოდ-მხოლოდ ახალგაზრდა ხეები. იმისათვის, რომ ვენახები უზრუნველყოფილ იქნას საყრდენი მასალით (ჭიგოებით) ჯერ კიდევ 1944 წელს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც კოლმეურნეობებმა 1945-1947 წლების მანძილზე უნდა გააშენონ თეთრი აკაციის პლანტაციები 6.520 ჰექტარის რაოდენობით. ეს დავალება ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად სრულდება, 1945 წელს უნდა გაგვეშენებინა 2.065 ჰექტარი აკაცია. ეს გეგმა შესრულებულია მხოლოდ 31 პროცენტით. მთლიანად უნდა შესრულდეს თეთრი აკაციის გაშენების გეგმა და ეს სერიოზული განძი იქნება ტყეების გაშენების ღონისძიებათა საქმეში.

ამხანაგებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის განსახილველად წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმა უზრუნველჰყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. ამ გეგმის განხორციელებით არა მარტო აღმოვფხვრით ჩვენს სახალხო მეურნეობაში ომის შედეგებს და აღვადგენთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელ დონეს, არამედ მნიშვნელოვნად წავიწევთ წინ. ეს არის ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის, ჩვენი ხალხის კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების შემდგომი აყვავების გეგმა. ეს გეგმა იმ გრანდიოზული შემოქმედებითი მუშაობის განგრძობაა, რასაც საქართველოში ეწეოდა დიდი სტალინის თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით გააკეთებს ყველაფერს, რაც კი საჭიროა იმისათვის რომ ვადამდე უზრუნველჰყოს ჩვენი ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება და ამით შემდეგშიც გავამართლოთ ის უდიდესი ყურადღება და დახმარება, რასაც სისტემატურად გვიწევენ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პირადად დიდი სტალინი. (მქუხარე ტაში).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ კ. ს. ციმაკურიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემოაქვს უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ჩვენმა მეათე სესიამ უკვე განიხილა და დაამტკიცა კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეს კანონი ქართველი ხალხის შრომისა და ბრძოლის დიადი პროგრამაა, რომლის შესრულებაც უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ აყვავებას, ხალხის საამურ და ბედნიერ ცხოვრებას.

საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ამოცანაა საჭირო სახსრებით უზრუნველყოს ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში.

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მოგახსენოთ საქართველოს სსრ 1945 წლის ბიუჯეტის შესრულება.

საქართველოს სსრ 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს სსრ 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მიერ დამტკიცებული იყო 1.456.242 ათასი მანეთის მოცულობით. წლის განმავლობაში საკავშირო მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა გამო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება, რომელთა შედეგად საქართველოს სსრ 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა გამოიხატა 1.436.650 ათასი მანეთით. ბიუჯეტი შესრულებულ იქნა: შემოსავლის ნაწილში 1.431.804 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 1.412.502 ათასი მანეთის რაოდენობით. შემოსავალმა გასავალს 19.302 ათასი მანეთით გადააჭარბა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1945 წელს ზოგიერთი სამინისტროს საწარმოები ჩამორჩნენ სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და ასორტიმენტის გეგმის შესრულებაში. ამავე დროს ადგილი ჰქონდა პროდუქციის თვითღირებულების ზრდას, დანაკარგებს და ამის გამო დაგროვების გეგმების შეუსრულებლობას.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1945 წელს პროდუქციის გამოშვების გეგმა მხოლოდ 67,4 პროცენტით შეასრულეს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 67,9 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 84,9 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 87,7 პროცენტით და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 95,4 პროცენტით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე ბიუჯეტის განხილვის დროს აღნიშნული იყო საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების ცუდი მუშაობა, გამოუწვავი აგურ-კრამიტის დიდი დანაკარგები, პროდუქციის დაბალი ხარისხი და თვითღირებულების მაღალი დონე. 1945 წელს ამ საწარმოებში გამოუწვავი აგურის დანაკარგი კვლავ შეადგენდა 3.184 ათას ცალს, ანუ მთელი პროდუქციის 21,1 პროცენტს, კრამიტისა—573 ათას ცალს ანუ 44,1 პროცენტს. საწარმოების მიერ გეგმის შეუსრულებლობისა და დანაკარგების გამო პროდუქციის თვითღირებულება გადიდდა 1.099,0 ათასი მანეთით. ამის გამო საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებმა გასული წელი 1.610,0 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრეს.

გასულ წელს არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები. მუშახელის მნიშვნელოვანი დენადობის, მანქანებისა და მოწყობილობის მოცდენის, სამუშაო დროის დიდი დანაკარგებისა და შრომის ნაყოფიერების დაბალი დონის შედეგად, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობის გარდა საგრძნობლად გადიდდა პროდუქციის თვითღირებულება. გეგმის გარეშე დანაკარგებმა 3.498 ათას მანეთს მიაღწია. ამის შედეგად მოგების გეგმა ნაცვლად გათვალისწინებული 13.921 ათასი მანეთისა შესრულებულ იქნა მხოლოდ 6.374 ათასი მანეთის ოდენობით.

ცუდად მუშაობდნენ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოები. საქართველოს ცხოველდამზადების ტრესტის (დირექტორი ამხ. სტურუა) დამამზადებელმა პუნქტებმა პირუტყვის მიღებისა და მოვლის წესების უხეშად დარღვევის შედეგად დიდი დანაკარგები დაუშვეს და ხორცის მრეწველობის წარმოებას დაბალი ხარისხისა და არაკონდიციური საქონელი ჩააბარეს. ხორცის მრეწველობის ტრესტმა ვერ უზრუნველჰყო პირუტყვის კარგად მოვლა, არასრულად გამოიყენა ნედლეული და წარმოების ნარჩენები და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.396 ათასი მანეთი მოგებისა, 103 ათასი მანეთი ზარალი მიიღო.

შედარებით კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა 1945 წელი კვების მრეწველობის სამინისტრომ. პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულ იქნა 120,1 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 8.900 ათასი მანეთით. ამის შედეგად მიღებულ იქნა გეგმით გათვალისწინებულზე 12.221 ათასი მანეთით მეტი მოგება.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმის გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა და ამით გეგმის გადამეტებით მიიღეს 1.300 ათასი მანეთი დაგროვება.

ბიუჯეტის შესრულება დიდად არის დამოკიდებული ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობაზე. 1945 წელს მთელი რიგი რაიონები წარმატებით ასრულებდნენ მოსახლეობისაგან ფულადი სახსრების აკრეფის გეგმებს. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ქალაქ თბილისს და ქუთაისს, ამბროლაურის, ქუთაისის, მახარაძის, მცხეთის, წითელწყაროს, სიღნაღის, თელავის, ახალციხისა და სხვა რაიონებს.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა რაიონმა ვერ შესძლო მოსახლეობისაგან გადასახადთა აკრეფის საქმის კარგად მოწყობა და ამის შედეგად ვერ უზრუნველჰყო ბიუჯეტის შესრულება. ასეთთა რიცხვს ეკუთვნიან თიანეთის, წალკის, გეგეჭკორის, თბილისისა და ყაზბეგის რაიონები. ამგვარ ჩამორჩენას 1946 წელს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის შესრულებას აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდის დაწყებასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა მეურნეობის წარმატებით გასაძღოლად. საჭიროა მაქსიმალური უნარი და ინიციატივა გამოვიჩინოთ საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, რათა უზრუნველვყოთ ბიუჯეტით დასახულ ღონისძიებათა მთლიანად განხორციელება.

საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულია შემოსავალში 1.573.825 ათასი მანეთის და გასავალში 1.560.919 ათასი მანეთის რაოდენობით.

მიმდინარე წლის ბიუჯეტით გაწეულ იქნება 165.910 ათასი მანეთით მეტი ხარჯები, ვიდრე გასულ წელს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად უმაღლესი განათლების სამინისტროს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით წელს ჩვენი ბიუჯეტიდან ამოღებულ და საკავშირო ბიუჯეტზე გადატანილ იქნა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო და ვეტერინარული ინსტიტუტების ხარჯები—40 მილიონ მანეთამდე, მაშინ ბიუჯეტის ზრდა გაცილებით მეტი იქნება.

ნება მიბოძეთ გადავიდე უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროებზე.

შემოსავალი სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შემოსავალი სახელმწიფო და განსაზოგადოებული მეურნეობის საწარმოებიდან განსაზღვრულია 810.345 ათასი მანეთის რაოდენობით. ეს თანხა წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური საწარმოების დაგროვების იმ ნაწილს, რაც შეტანილი იქნება საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

სოციალისტური დაგროვება ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველსა და ძირითად საშემოსავლო წყაროს წარმოადგენს. საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებანი ხაზგასმით აღნიშნავენ დაგროვების შემდგომი ზრდის აუცილებლობას, მოითხოვენ საწარმოთა ეკონომიური საქმიანობის იმგვარად წარმართვას, რომ უზრუნველყოფილ იქნას თვითღირებულებისა და დაგროვების გეგმების აუცილებლად შესრულება.

ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებანი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და სოციალისტური მრეწველობის რენტაბელობის განმტკიცების შესახებ ყოველთვის წარმოადგენდნენ სამეურნეო მუშაკთა საბრძოლო პროგრამას. ამ პროგრამის განხორციელებამ უზრუნველჰყო პირველი, მეორე და მესამე სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულება. სოციალისტური დაგროვების გადიდება იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველჰყოფს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას 1946-1950 წლებში, ახალი სტალინური ხუთწლედის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ჩვენი სახელმწიფო სოციალისტური დაგროვების გადანაწილების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ამ დაგროვების ბიუჯეტში მიღება ბრუნვის გადასახადის სახით.

1946 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია ბრუნვის გადასახადის მიღება 3.387 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხება 578 მილიონი მანეთი.

გასულ წელთან შედარებით ბრუნვის გადასახადის საერთო ოდენობა იზრდება 455 მილიონი მანეთით ანუ 15,5 პროცენტით. ეს ზრდა აიხსნება სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული საქონლის, განსაკუთრებით ფართო მოხმარების საგნების წარმოების საგრძნობი გადიდებით.

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 1946 წელს წინა წელთან შედარებით ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება მნიშვნელოვნად იზრდება. შალის და ბამბის ქსოვილების გამომუშავება 1.428,6 ათასი მეტრიდან გაიზრდება 2.650 ათას მეტრამდე ანუ 87 პროცენტით, ფეხსაცმლისა—968 ათასი წყვილიდან 1.300 ათას წყვილამდე ანუ 34,3 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა—17 პროცენტით. საკონდიტრო მრეწველობის პროდუქცია იზრდება 26,3 პროცენტით, ღვინის წარმოება 20,9 პროცენტით, პურის ცხობა 18,8 პროცენტით, საპნის წარმოება 16,5 პროცენტით და ა. შ.

საგრძნობლად იზრდება ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება რაიონული მრეწველობის საწარმოებსა და სარეწაო კოოპერაციის არტელებშიც.

საქონლის წარმოებისა და საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე დამოკიდებულია აგრეთვე ბიუჯეტის შემოსავალში გათვალისწინებული მოგების ანარიცხების მიღება.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების რენტაბელობისა და სოციალისტური დაგროვების საკითხს სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ აქცევენ საკმაო ყურადღებას. მხოლოდ ამით აიხსნება, რომ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკურ მნიშვნელობის 50-მდე საწარმო საქართველოში ჯერ კიდევ ზარალით მუშაობს.

გასულ წელს საქართველოს თამბაქოს ტრესტმა „საქთამბაქომ" გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და თვითღირებულების შემცირების შედეგად 39 მილიონი მანეთი დაგროვება მიიღო, მიმდინარე წელს კი ტრესტმა მხოლოდ 13 მილიონი მანეთი მოგების მიღება დაგეგმა. საჭირო გახდა ზემდგომი ორგანოების ჩარევა იმისათვის, რომ „საქთამბაქოს" შეეცვალა დაგროვების არასწორად შედგენილი, შემცირებული გეგმა.

სატყეო მრეწველობის სამინისტროს მარელისის გრეხილი-ავეჯის ფაბრიკამ 1945 წელს გეგმით გათვალისწინებული 30.000 ცალი სკამის ნაცვლად 10.000 ცალი გამოუშვა, ამასთან პროდუქციის თვითღირებულება 508 ათასი მანეთით გაადიდა და სამეურნეო საქმიანობიდან 870 ათასი მანეთი ზარალი მიიღო. ქარხანას მიმდინარე წელსაც დაგეგმილი აქვს 614 ათასი მანეთი ზარალის მიღება, მაშინ როცა არსებობს შესაძლებლობა, რომ ამ წარმოებამ იმუშაოს მეტი დატვირთვით და თავიდან აიცილოს ზარალი.

სამრეწველო და სამეურნეო სამინისტროების ხელმძღვანელთა გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ გაშალონ მუშაობა საწარმოთა რენტაბელობისათვის, ბოლო მოუღონ ცალკე საწარმოთა ზარალიანობას და სისტემატურად იბრძოლონ სოციალისტური დაგროვების გასადიდებლად. ჩვენი საწარმოები ამ ამოცანას წარმატებით დასძლევენ, თუ მოცემული გეგმები წარმოების დარგში, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გასაძლიერებლად რაიონული მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია.

რაიაღმასკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას, არ ახორციელებენ კონტროლს მათს მუშაობაზე. ამის გამო მათი საწარმოები სისტემატურად ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს, არ იბრძვიან პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ საწარმოებში აღრიცხვა და ანგარიშგება მოუწესრიგებელია და ამით შექმნილია სახელმწიფო ქონების განიავების ხელსაყრელი პირობები.

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაცია ჯერ კიდევ განაგრძობს არასტანდარტული და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, განსაკუთრებით ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის წარმოების დარგში.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ ქ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს მიგვითითა, რომ „საქართველოში დიდი შესაძლებლობაა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების სერიოზული გაფართოებისათვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, უმთავრესად ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ძალებით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის და ღირსია იმისა, რომ მას დიდი ყურადღება ეთმობოდეს".

ამხანაგ ბერიას მითითების შესასრულებლად აუცილებელია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელობამ და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ დროულად განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება და უზრუნველჰყონ თავიანთ საწარმოთა მუშაობის არსებითი გაუმჯობესება, მიაღწიონ პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას, ხარისხის გაუმჯობესებას და ზარალიანობის ლიკვიდაციას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბასრაში ინდოეთის ჯარების გაგზავნისათვის

თეირანი, 5 აგვისტო. (საკდესი). იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ ინგლისელებმა ინდოეთის ჯარის ნაწილები გაგზავნეს ბასრაში, ამასთან მათს ჩასვლას უკავშირებენ ხუზისტანში მომხდარ უკანასკნელ ამბებს, ფარს-სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ წესრიგის დაცვა ხუზისტანში ირანის შინაური საქმეა. ირანის სუვერენულ უფლებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად, ირანის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ნება დართოს უცხოელებს ირანის შინაურ საქმეებში ჩაერიონ.

თეირანის უკლებლივ ყველა გაზეთი მკაცრ პროტესტს აცხადებს ხუზისტანში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ბასრაში ინგლისის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ და სთვლის, რომ ეს მოქმედება საფრთხეს უქმნის ირანის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისელთა მიერ ინგლის-ირანის ხელშეკრულების [illegible] ხელშეკრულება ინგლისელებს უფლებას აძლევს მათი ჯარები ირანში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგზავნონ, თუ მოსალოდნელია ომის საფრთხე, ახლა კი ინგლისელებისათვის არავითარი ომის საფრთხე არ არსებობს.

ზოგიერთი გაზეთი მაგალითად, „დადი" და „დონია-ე-ემრუზი" გამოსთქვამს აზრს, რომ ინგლისელების მიერ ბასრაში ჯარების გაგზავნა წარმოადგენს ინგლისელთა რეაქციას ირანში კოალიციური კაბინეტის შედგენის წინააღმდეგ, რომლითაც ინგლისელები მეტად უკმაყოფილონი არიან.

გაზეთი „შაჰბაზი" სწერს, რომ ინგლისელებმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ გაამხნევონ რეაქციული ელემენტები ირანში და წააქეზონ ისინი ირანის დემოკრატიის წინააღმდეგ გამოსასვლელად.

ირანის ვიცე-პრემიერის განცხადება

თეირანი, 6 აგვისტო. (საკდესი). როგორც თეირანის რადიო გადმოგვცემს, გუშინ შრომისა და პროპაგანდის მინისტრმა და პრემიერ-მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ მუზაფერ ფირუზმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს ბასრაში ინგლის-ინდოეთის ჯარების გადმოსხმის საკითხზე განუცხადა: ბასრაში ინგლისისა და ინდოეთის ჯარების ნაწილების ყოფნა დასაბუთებულია ინგლის-ირანის 1930 წლის ხელშეკრულების მე-4 მუხლით, რომელიც ინგლის-ინდოეთის ნაწილების ყოფნას ითვალისწინებს ომის რაიმე საფრთხის შემთხვევაში. ამიტომ ბასრაში ამჟამად ჯარების ყოფნა დაუსაბუთებელია და ინგლის-ირანის ხელშეკრულების მე-4 მუხლის გამოყენება არ შეიძლება. სამხრეთ-ირანში წესრიგის აღდგენის საკითხს მხოლოდმხოლოდ შინაური საკითხის ხასიათი აქვს და ირანის მთავრობის კომპეტენციაში შედის.

უნდა განვაცხადო, რომ ცნობამ ისეთი ოფიციალური წყაროს, როგორიც ლონდონის რადიოა, ბასრაში ჯარების შეყვანის შესახებ ირანის საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილება გამოიწვია. საჭიროდ ვთვლი დავძინო, რომ ირანის მთავრობის პოლიტიკას, კერძოდ, პრემიერ-მინისტრ კავამ-ეს-სალტანეს პოლიტიკას, რომელიც ისწრაფვის მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს დიდ ბრიტანეთთან, ესაჭიროება ირანის საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა. საზოგადოებრივი აზრისა, რომელიც მეტად არაკეთილსასურველად შეხვდა ლონდონის რადიოს ცნობას, რაც ინგლისის მთავრობას ჯერ კიდევ არ უარუყვია.

თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარედ აირჩიეს ყარაბექირი

ანკარა, 5 აგვისტო. (საკდესი). ანკარის რადიო იუწყება, რომ დღეს ეროვნული კრების სხდომაზე კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გენერალი ყარაბექირი.

გაფიცვები ამერიკის შეერთებული შტატების მძიმე მრეწველობაში

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. (საკდესი). სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის 7 ქარხანაში, რომლებიც ორ დიდ კომპანიას — „კეიზ კომპანის" და „ალის-ჩალმერს" ეკუთვნის, უკვე მეშვიდე თვეა გაფიცულია 15 ათასი მუშა, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის 30 პროცენტით მომატებას და კოლექტიური ხელშეკრულების დადებას. ხსენებული ორი კომპანია სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების ყველაზე დიდი კომპანიაა შეერთებულ შტატებში. მათი ქარხნები მდებარეობენ მთელ რიგ შტატებში, მათ შორის ვისკონსინისა და ილინოისის შტატებში. ორივე კომპანიის ხელმძღვანელები მრეწველთა ეროვნული ასოციაციის აქტიური წევრები არიან.

გაზეთი „პ. მ." აღნიშნავს, რომ კომპანია „კეიზ-კომპანის" კუთვნილი ქარხნების მუშებს 1944 წლის დეკემბრიდან ვერ მოუხერხებიათ კოლექტიური ხელშეკრულების დადება. კომპანია უარს ამბობს რაიმე მოლაპარაკების გამართვაზე და უარჰყოფს შრომის მინისტრისა და მიწათმოქმედების მინისტრის ჩარევას. გაზეთი აღნიშნავს, რომ გაფიცული მუშები განსაკუთრებით მძიმე პირობებში არიან.

ინენიუ ხელახლა აირჩიეს თურქეთის პრეზიდენტად

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ დღეს ეროვნული კრების სხდომაზე ისმეთ ინენიუ მესამეჯერ არჩეულ იქნა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად. დემოკრატიული პარტიის 62 დეპუტატმა რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევისათვის ხმა მისცა მარშალ ჩაკმაკს. ისმეთ ინენიუს ხმა მისცა 395 დეპუტატმა სახალხო-რესპუბლიკური პარტიისაგან.

ნაციონალ-ცარანისტების ახალი პროვოკაცია რუმინეთში

ბუქარესტი, 6 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „სკინტეიას" ცნობით, 3 აგვისტოს მანიუს მომხრეებმა ქალაქ ალბა-იულიაში ახალი სისხლისმღვრელი პროვოკაცია მოაწყეს. „3 აგვისტოს, სწერს გაზეთი, — ბანკ „იზბორულის" სადგომში, რომელიც ნაციონალ-ცარანისტული პარტიის სამაზრო ორგანიზაციის თავმჯდომარეს იოანე პოპს ეკუთვნის, ნაციონალ-ცარანისტული კომიტეტის სხდომა მიმდინარეობდა. ალბა-იულიაში საბაზრო დღეს შეკრებილმა გლეხებმა და ადგილობრივმა მოქალაქეებმა მანიფესტაცია მოაწყვეს დემოკრატიული პარტიის ბლოკის პატივსაცემად. იმ მომენტში, როდესაც მანიფესტაცია მიდიოდა მოედანზე, სადაც ბანკია მოთავსებული, მას სროლა აუტეხეს ნაციონალ-ცარანისტთა შენობაში ჩასაფრებულებმა. მძიმედ დაიჭრა ალბა-იულიის მაზრის კომუნისტური ორგანიზაციის მდივანი ჟორჟ დუმიტრესკუ. აღშფოთებულმა მოქალაქეებმა იერიშით აიღეს შენობა და განიარაღეს იოანე პოპი და მისი თანამონაწილენი".

შარირი არჩეულია ინდონეზიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარედ

ჰააგა, 6 აგვისტო. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ჩერიბონში, (იავა) გამართულ კონფერენციაზე შარირი არჩეულია ინდონეზიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარედ.

შესწყდა მოლაპარაკება იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და მრეწველებს შორის

რომი, 5 აგვისტო. (საკდესი). იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სპეციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ მრეწველთა კონფედერაციამ 3 აგვისტოს უეცრად შესწყვიტა შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება სამრეწველო მუშების შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხზე. მრეწველთა კონფედერაციამ უარი სთქვა რაიმე მოლაპარაკება აწარმოოს „მანამდე, სანამ არ გადაიჭრება ძირითადი საკითხი დათხოვნის აკრძალვის გაუქმების შესახებ", მიუხედავად იმისა, რომ წინა დღით ორივე მხარე შეთანხმდა გადაედოთ ამ საკითხის განხილვა მანამდე, სანამ მთავრობა თავის თვალსაზრისს არ ჩამოაყალიბებს.

გაზეთი „უნიტა" მრეწველთა კონფედერაციის საქციელს ახასიათებს, როგორც „პროვოკაციას და პროფკავშირთა შანტაჟირების ცდას".

დანიელი ფაშისტების აქტივობა

კოპენჰაგენი, 6 აგვისტო. (საკდესი). დანიელი ფაშისტები უფრო და უფრო მეტ აქტივობას იჩენენ. მათმა ახალმა მეთაურმა ედიტ კვეერტმა ყველა გაზეთს დაუგზავნა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ აღორძინდა „დანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტია" (დნსაპ-ი) და რომ ეს პარტია პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდა.

გაზეთ „ინფორმაშენის" ცნობით, წერილში ნათქვამია, რომ ახალი ფაშისტური პარტია შემდგარი იქნება ორი ნაწილისაგან: ბირთვისაგან, რომელშიც ძველი კადრები შედიან, და საარჩევნო გაერთიანებისაგან „დანიის ფრონტის" სახელწოდებით. სვასტიკა რჩება პარტიის სიმბოლოდ. წერილი შეიცავს ყველა გერმანელთა „რასობრივი უპირატესობის" შექებას, ანტისემიტურ გალაშქრებებს და ჰიტლერული პროპაგანდის სხვა ატრიბუტებს.

დანიის გაზეთები წინააღმდეგობას არ უწევენ ამ თავხედურ ფაშისტურ გამოსვლებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

კინოებში

8 აგვისტოს: რუსთაველის სახელობის, დამკვრელი (საზაფხულო და ზამთრის) და ლუქსემბურგის სახელობის — „ფიცი", კომკავშირელი (საზაფხულო) — „მხიარული ახალგაზრდობა", (ზამთრის) — „15 წლის კაპიტანი", სპარტაკი — „კაპიტან გრანტის შვილები", 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — „დიდი ვალსი", (ზამთრის) — „საზღვაო ბატალიონი".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს გენეტიკისა და ციტოლოგიის ლაბორატორიის გამგის ვაკანტურ თანამდებობაზე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე არა უგვიანეს 20 დღისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. ავტობიოგრაფია, 3. ასლი დიპლომისა უმაღლესი განათლების შესახებ, 4. ასლი დოკუმენტებისა სამეცნიერო ხარისხის და წოდების შესახებ, 5. სამეცნიერო ნაშრომების სია, 6. სამეცნიერო ნაშრომები.

დირექცია

ოჯახი იუწყება მზია გრიგოლის ასულ ნაფეტვარიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 8/VIII, 6 ს. საბჭოს, 179.

მოქალაქე **ლუკიანე ონოფრეს-ძე სოლოვიოვმა**, მცხოვრებმა ქორესის ქ. № 40, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ირინე ეფრემის-ასულ სოლოვიოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სერგო დავითის-ძე ვარლამოვმა**, მცხოვრებმა იურევსკის ქ. № 29, აღძრა საქმე პირველი პროლეტარის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ალექსანდრეს-ასულ ვარლამოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია და გამომცემლობის კოლექტივი იუწყება ინჟინერ **ლეო მიხეილის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 11/VIII, 2 ს. მაქსიმ გორკის, 35.

თ. მღებრიშვილი, გ. ხახუტაშვილი და ი. ქარუმიძე ოჯახებით იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **კონსტანტინე ბიძინას-ძე გაბარაშვილის** გარდაცვალებას.

ვ. ა. ნემსაძე, მ. მ. და შ. ნ. ჯანელიძეები ოჯახებით იუწყებიან აკადემიკოს ი. ი. ჯანელიძის მეუღლის **ნინო იულის-ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—8-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტირაჟი 110,000, უე 00187